რეკრეაციული პარკები, როგორც დემოკრატიული პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი

სეირნობა, დასვენება, გართობა - ალბათ პარკებთან დაკავშირებით პირველი სწორედ ეს გვახსენდება. პარკები ძირითადად დასვენებასა და განტვირთვასთან ასოცირდება. თუმცა, რეკრეაციული ფუნქციის გარდა, ისინი დემოკრატიის განვითარების პროცესში ერთ-ერთ საკვანძო როლს ასრულებენ. რა კავშირშია დემოკრატია და პარკები ერთმანეთთან? ქვემოთ ვეცდებით სხვადასხვა მაგალითზე დაყრდნობით ავხსნათ აღნიშნული.

დემოკარტია თავის თავში მოიაზრებს მოქალაქეთა გაერთიანებასა და სხვადასხვა ფორმით მმართველობის პროცესში მათ ჩართულობას. პარკები როგორც შეკრებისა და სოციალიზაციის სივრცე გარკვეულწილად წარმოადგენენ საზოგადოების შეხვედრების, ინტერაქციის, კომუნიკაციის „პლატფორმას“ და იმავდროულად მისი განვითარება თავისთავად არის საერთო საზოგადოებრივი ინტერესის საგანი. როგორც „საჯარო, სოციალურ ინფრასტრუქტურას“ მატ აქვთ უზარმაზარი პოტენციალი სხვადასხვა ჯგუფები ერთმანეთთან დააკავშირონ და ამას საკუთარი უნიკალური დიზაინის საშუალებით ახერხებენ. რა თქმა უნდა, პარკის არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს ჩართულობისა და კავშირების გაღრმავების ხელისშემწყობას. იმისათვის რომ იფუნქციონიროს, როგორც სოციალური ინფრასტრუქტურა, მას სჭირდება სპეციალური და მორგებული დიზაინი, რომელიც აქცენტს აკეთებს პარკით მოსარგებლეთა, როგორც კულტურულ მახასიათებლებზე, ასევე ინდივიდუალურ სურვილებსა და საჭიროებებზე. მაგალითისთვის, თუ მოსახლეობა პრიორიტეტს ანიჭებს კალათბურთს, პარკის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს და მის ადგილას არ აშენებდეს საციგურაო მოედანს. რაც უფრო მორგებულია პარკი მოქალაქეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, მით უფრო მეტად მომხიბვლელია იგი და ადამიანებს უყალიბდებათ მიკუთვნებულობის გრძნობა. შესაბამისად მოქალაქეებს უჩნდებათ სურვილი პარკის დიზაინი საკუთარ საჭიროებებს მოარგონ, რისთვისაც ჩართულობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოუწევთ, მათ შორის ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებებთან ან/და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებთან

კომუნიკაცია. ფაქტობრივად, ისინი პარკების მაგალითზე მმართველობის პროცესში იწყებენ მონაწილეობას, რაც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია.

მაინც რა დადებითი მხარეები აქვს მწვანე სივრცეებს და რატომაა ისინი სოციალური ინფრასტრუქტურა? რამდენიმე კვლევამ დაადგინა, რომ მწვანე სივრცეებზე წვდომა ხელს უწყობს უფრო მყარი სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას, ამცირებს მარტოობის შეგრძნებას, აძლიერებს ადგილზე მიჯაჭვულობას და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის გაზრდას უზრუნველყოფს. გაერთიანებული სამეფოს სამი დიდი პარკის მაგალითზე კვლევამ აჩვენა, რომ მაცხოვრებლებს, რომლებიც რეგულარულად სტუმრობენ პარკებს 66%-ით მეტი სოციალური კავშირი აქვთ მათთან შედარებით, ვინც პარკებით არ სარგებლობს. ამავე დროს, პარკები იდეალური ადგილია ჯგუფთაშორისი კონტაქტებისთვის, რადგან იგი სთავაზობს სივრცესა და საშუალებას სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობისა და ხალხთან კომუნიკაციისთვის. პარკები მრავალფეროვანი გამოყენებისთვისაა შექმნილი, რაც ხელს უწყობს ინდივიდთა შორის ინტერაქციას და აქვთ კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

პარკებისა და დემოკრატიის კავშირის ასახსნელად, რამდენიმე პარკის მაგალითს მოვიხმობთ: Methow Park; Park4All და Alakoko Fishpond. თითოეული ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს პარკების დაცვასა და მათი დიზაინის შემუშავებაში მოქალაქეთა როლის მნიშვნელობას და ამ პროცესის საბოლოო გავლენას დემოკრატიზაციისა და ჩართულობის გაზრდის მიმართულებით.

Methow Park

განხილვა დავიწყოთ Methow Park-ით, რომელიც ვაშინგტონში, ქალაქ Wenatchee-ის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პარკით ყველაზე მეტად მასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს. Methow Park-ის გარშემო 4200-ზე მეტი ადამიანი სახლობს და ამასთანავე, მათი დიდი უმრავლესობა წარმოშობით მექსიკელია. მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო პარკს საკუთარი

ფუნქცია მეტწილად დაკარგული ჰქონდა. იგი ვერ ახერხებდა მოსარგებლეთა საჭიროებების დაკმაყოფილებას.



აღნიშნული პარკით Trust For Public Land (TPL) დაინტერესდა, რომელიც პარკების შენარჩუნებისთვის იბრძვის, მუშაობს მათ დიზაინზე და იცავს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

თავდაპირველად Methow Park-ის მოსახლეობასთან შეხვედრებმა პოზიტიური შედეგებით არ ჩაიარა. ჯანდაცვისა თუ სხვა სოციალურ საკითხებთან შედარებით პარკის განახლება არ წარმოადგენდა მათ გამოკვეთილ პრიორიტეტს. თავდაპირველი წარუმატებლობიდან გამომდინარე შეხვედრების ფორმატი შეიცვალა და TPL-ის გუნდმა ბუნებრივ გარემოში სცადა მოსახლეობასთან შეხვედრა. უფრო კონკრეტულად კი მარიაჩის ფესტივალზე. საბოლოოდ, პარკისთვის ფუნქციის დასაბრუნებლად და პროცესში საზოგადოების ჩასართავად TPL-ის გუნდმა მოხალისეთა შეკრება და პარკში სხვადასხვა სოციალური აქტივობის დაგეგმვა დაიწყო, რომლებიც მოსახლეობის ტალანტების გამოვლენას ემსახურებოდა. აღნიშნულმა ქმედებებმა საზოგადოებაში TPL-ის გუნდის მიმართ ნდობა გაზარდა, ამავე დროს კი თავად მოსახლეობას შორის კავშირები ჩამოყალიბდა. ამ ყველაფერმა პროცესებში მოსახლეობის ჩართულობას შეუწყო ხელი. მალე პარკის ბიუჯეტის გაზრდის მოთხოვნით შეხვედრები დაიწყო ხელისუფლებასთან. მისი მიზანი პარკის რეაბილიტაცია და თანამედროვეობასთან თანხვედრა იყო. თუმცა, ადგილობრივებს კარგად ესმოდათ, რომ პარკის რეაბილიტაციის შემდგომაც აუცილებელი იქნებოდა ინტერესთა ადვოკატირება. სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა გუნდი სახელწოდებით - Parque Padrinos, იგივე პარკის ნათლიები. იგი საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებს



შორის კომუნიკაციას უწყობს ხელს და ცდილობს მათი საჭიროებები გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებამდე/პირებამდე მიიტანოს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ მიიჩნევდა რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. შესაბამისად ისინი არც არჩევნებში მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომ, პადრინოსებმა ვაშინგტონის ლათინური თემის ფონდთან დაიწყეს აქტიური თანამშრომლობა საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ხელშეწყობის მიმართულებით, რამაც საბოლოოდ ლათინური ამომრჩევლების აქტივობა 300%-ით გაზარდა. ამავე დროს ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოვიდ პანდემიისას საზოგადოების ლათინური ნაწილის ინფორმირებაში. ერთი პარკის რეაბილიტაციის და გადარჩენის მაგალითმა ნათლად აჩვენა, რომ გარდა მწვანე, რეკრეაციული სივრცის შენარჩუნებისა, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სარგებელიც დადგა.

TPL-ს საკუთარი თეორიული ჩარჩო აქვს ჩამოყალიბებული, სახელწოდებით - Common Ground Framework, რომელიც საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნისას გამოიყენება და რომლის მიხედვითაც შეგვიძლია პადრინოსების ქმედებების ანალიზი გავაკეთოთ. ჩარჩო სამი მიმართულების განვითარებაზე აკეთებს აქცენტს: საზოგადოებრივი ურთიერთობები, საზოგადოებრივი იდენტობა და საზოგადოების ძალაუფლება. თავდაპირველად პადრინოსები უბრალოდ მეზობლების ჯგუფი იყო, რომლებმაც სტრუქტურიზებული კომუნიკაცია დაიწყეს და უფრო ინტენსიური ურთიერთობები დაამყარეს. აღნიშნულმა განაპირობა პარკთან მიმართებით კოლექტიური იდენტობის განმტკიცება. ამ იდენტობამ ადამიანები მეტად შეაკავშირა, შესაძლებლობა მისცათ შეექმნათ საერთო დღის წესრიგი და საბოლოოდ მოეპოვებინათ გავლენა და ძალა.



Alakoko Fishpond

კიდევ ერთი მწვანე სივრცე, რომელიც სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციას ასრულებს და ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას ჰავაიზე მდებარე ალაკოკოს თევზის აუზია. იგი 600 წელზე მეტი ხნის წინ აშენდა ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. ამ სივრცეს ხალხი იყენებდა, როგორც შემოსავლის მისაღებად, ასევე გართობისა და დასვენების მიზნით. ალაკოკოს კერძო საკუთრებაში მოხვედრამ კი აუზში მანგროს ხეების (ტანდაბალი (5-10 მ) მარადმწვანე ხე ტალღებისაგან დაცულ ლამიან ტროპიკულ სანაპიროზე, რომელიც მხოლოდ ზღვის მოქცევისას იფარება წყლით) მომრავლება გამოიწვია, რაც აუზს ფუნქციასა და ეკოსისტემას უცვლიდა. Mālama Hulēia-მ მოიპოვა ნებართვა გაესუფთავებინათ ალაკოკო (კანოეებისაგან შემდგარი ჯგუფი). მათ 3000-ზე მეტი მოხალისე ჩართეს პროცესში და შედეგად ალაკოკოს ეკოსისტემის ბალანსი აღადგინეს. ამასთანავე, Mālama Hulēia-მ TPL-თან თანამშრომლობით შეძლო ალაკოკო დეველოპერების მიერ შესყიდვისგან დაეცვათ და ამ მიზნით 5500-ზე მეტმა წევრმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც ხელისუფლებას გაეგზავნა. ისინი ხელისუფლებისგან ითხოვდნენ ალაკოკო სახელმწიფოს შეესყიდა. საბოლოოდ იგი კერძო დონორმა - Chan Zuckerberg Kaua'i Community Fund of Hawai'i-მ დააფინანსა და საკუთრებაში გადასცა Mālama Hulēia-ს. ამჟამად აღნიშნული სივრცე სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სოციალური მიზნით გამოიყენება, რომლითაც სხვადასხვა, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს, შეუძლიათ სარგებლობა.



Parks4All

Fresno ერთ-ერთი იმ პარკთაგანია, რომელიც TPL-ის ParkScore რეიტინგში





ყველაზე დასახლებული ქალაქების პარკების ასეულში ბოლო ადგილას იყო. Fresno Parks4All კი სწორედ მასზე საპასუხოდ წარმოიშვა. სამხრეთ ფრეზნოს ახალგაზრული საბჭო სათავეში ჩაუდგა Parks4All-ს, დაიგეგმა ადვოკატირების კამპანიები, რათა პარკის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულიყო. ისინი ქალაქის საბჭოს რეგულარული წევრები გახდნენ და შეიმუშავეს კენჭისყრა Measure P, რომელიც გადასახადებიდან თანხის მოსაზიდად იყო განკუთვნილი. შედეგად 35 ათასი ხელმოწერა შეგროვდა, რაც საკმარისი იყო Measure P-ის კენჭისყრაზე დასაყენებლად, რომელმაც ხმების 52% მიიღო. თუმცა ქალაქის საბჭომ უარი განაცხადა მის ამოქმედებაზე. მიუხედავად ამისა, კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება Parks4All-ის სასარგებლოდ მიიღო. საბოლოოდ, Measure P-მ 58 მილიონი დოლარი შეაგროვა ფრესნოს პარკების დასაფინანსებლად.

აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს თუ რამხელა ძალაუფლება აქვს საზოგადოებას, როცა იგი ერთი მიზნისკენ მოძრაობს და ერთი მიზნისთვის იბრძვის. თუმცა საზოგადოების ძალაუფლების მშენებლობა ნელი პროცესია და არც შედეგები მიიღწევა ერთ დღეში. მას სჭირდება დრო ურთიერთობების დასამყარებლად, გაერთიანებისა და ალიანსების შესაქმნელად. ამ ყველაფერს კი საბოლოოდ ნდობის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ნდობის გასამყარებლად ორგანიზაციები ღია კარის პოლიტიკით მოქმედებენ, სადაც შეხვედრებზე დასასწრებად ნებისმიერ მსურველს იწვევენ, უკუკავშირის მისაცემად, მოხალისედ თუ სხვა რაიმე სახით პროცესებში ჩასართავად. ნდობის ჩამოყალიბებას

ხელს უწყობს ისიც, რომ საზოგადოება პატარა გამარჯვებებს და პატარა ნაბიჯების ეფექტიანობას ხედავს.

ზემოთ განხილული სხვადასხვა მაგალითი ნათლად აჩვენებს თუ როგორ უწყობენ პარკები საზოაგდოების დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობას. პარკები, როგორც სოციალური ინფრასტრუქტურა, ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია საზოგადოების პოლიტიკაში ჩართულობის გასაზრდელად, რაც თავის მხრივ მკაფიო იდენტობის ჩამოყალიბებითაა გამოწვეული. თუმცა, მართალია პარკები ცალსახად ხელს უწყობს ჯგუფთაშორისი კავშირების დამყარებასა და გაღრმავებას, პარკის არსებობა აპრიორი ჯგუფებს შორის ძლიერ კომუნიკაციას არ ნიშნავს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის დიზაინსა და გამართულ ინფრასტრუქტურას.